

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის, იურიდიული
ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტის
თინათინ სუდაძის ნაშრომი თემაზე:

ოჯახში ძალადობა- ქალთა მიმართ ძალადობის ჭრილში

იდენტობა, 2015

სარჩევი:

შესავალი3

ლიტერატურის ანალიზი.....5

მეთოდოლოგია.....12

კვლევის შედეგები.....

- მამაკაცისა და ქალის როლი ოჯახში
- დაოჯახებისას პიროვნების თავისუფლების ხარისხი მცირდება
- ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ოჯახში ძალადობის მსხვერპლის გადაწყვეტილებაზე
- ოჯახში ძალადობას სახეები აქვს?
- დაცვის მექანიზმები
- ოჯახში ძალადობა-დანაშაული თუ ოჯახის პრობლემა?
- გამოსავალი არსებობს

დასკვნა.....21

გამოყენებული ლიტერატურა.....23

შესავალი

ოჯახში ძალადობა - ძალადობის ერთ ერთი ყველაზე გავრცელებული სახეა. „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ოჯახში ძალადობა გულისხმობს „ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და სექსუალური ძალადობით ან იძულებით“.¹

ოჯახში ძალადობის, როგორც ძალადობის ცალკეული სახის სპეციფიკა მდგომარეობს თავად ოჯახისა და ოჯახური ურთიერთობის შინაარსში. ქართული საზოგადოების დაუწერელი კანონია, რომ ოჯახი ეფუძნება განსაკუთრებულ ურთიერთობათა ჯაჭვს და რომ ოჯახის წევრებს ერთმანეთთან აკავშირებთ უპირველესყოვლისა სიყვარული, ურთიერთპატივისცემა... თუმცა,საკმარისია გავიხსენოთ ოჯახური ძალადობის საზარელი ფაქტები, რომ ოჯახის, როგორც სითბოსა და სიყვარულის ასოციაცია შეცვალოს ძალადობრივი ქმედებებით გაჯერებულმა მწარე რეალობამ...

ოჯახში ძალადობა სხვადასხვა დოზით, თუმცა ყველა სახელმწიფოში არსებული პრობლემაა. აღნიშნული პრობლემის სიმწვავე და ხარისხი ამა თუ იმ რეგიონში განპირობებულია საზოგადოების დაბალი ინფორმირებულობით, დამახინჯებული ტრადიციებით, გამჯდარი სტერეოტიპებითა თუ დაბალი სოციალურ-კულტურული განვითარების დონით. ოჯახში ძალადობის წყაროდ უნდა ჩაითვალოს საზოგადოების ის ადათ-წესები, რომლებიც ქალისა და მამაკაცის განსხვავებულ ქცევას ადგენენ: აქტიურსა და აგრესიულს კაცისთვის, ხოლო მეორე მხრივ მორჩილსა და დამთმობს ქალისთვის.² აღნიშნული ქცევა განპირობებულია ტრადიციული აღზრდის სტილით, რომელიც მამაკაცის აგრესიულობას განიხილავს, როგორც პრობლემის გადაჭრის მისაღებ ფორმას: „ბიჭებს ასწავლიან იყვნენ სწორუპოვარნი, მიზნის მისაღწევად არ მოერიდნონ აგრესიის, ძალის გამოყენებას, გოგონებს ასწავლიან იყვნენ მორჩილნი და შეზღუდონ საკუთარი

¹ საქ. კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის დაცვისა და დახმარების შესახებ, მე-3 მუხლი.

² მ.შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011

სურვილები და ინტერესები“³. იმის მიხედვით, თუ რა დოზითაა ოჯახში ძალადობა გამჯდარი ამათუ იმ სოციუმში, მასთან ბრძოლის გზა და ხერხებიც განსხვავებულია. ვინაიდან, ოჯახში ძალადობა თავისი შინაარსით სახელმწიფო მნიშვნელობის პრობლემაა, უპირველესყოვლისა, სახელმწიფო, როგორც მშობელი ვალდებულია ზრუნავდეს აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად, რათა უზრუნველყოს მისი მოქალაქეების სრულუფლებიანობა და თავისუფალი განვითარების უფლების რეალიზაცია. სწორედ ამიტომ, საქართველოში, ისევე როგორც სხვა სახელმწიფოებში, მოცემული პრობლემის წინააღმდეგ საბრძოლველად ჩართულია რიგი მექანიზმები- მოქმედებს სხვადასხვა რანგის საკანონმდებლო აქტები ოჯახში ძალადობასთან საბრძოლველად.

ბოლო დროს განვითარებულმა ოჯახური ძალადობის ფაქტებმა (მათ შორის ილიაუნში დატრიალებულმა ტრაგედიამ: ილიაუნის ლექტორი მაკა წივწივამე მეუღლემ ლექციიდან გამოიყვანა და ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა⁴) სრული სისასტიკით დაგვანახა პრობლემის სიმწვავე და სახელმწიფოს ინერტულობა აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად. ყოველდღიურად საინფორმაციო საშუალებებით ვგებულობთ ოჯახში ძალადობის საზარელ ფაქტებს, მაგრამ გამოსავალი არსად ჩანს!..

აღნიშნული თემის აქტუალობამ, ასევე ოჯახში ძალადობის სოციალურ სამართლებრივად მძიმე შედეგებმა მიბიძგა მოცემული ნაშრომის შექმნისკენ. ჩავატარე თვისობრივი კვლევა ქალაქ თბილისში სხვადასხვა ასაკის, სქესისა და ოჯახური მდგომარეობის მქონე ადამიანებთან. მიღებული შედეგების საფუძველზე წარმოჩინდა, რომ რესპონდენტების ინფორმირებულობა დაბალია და მათი საკითხის მიმართ მიდგომა სტერეოტიპული. მიუხედავად მრავალი საინფორმაციო წყაროს არსებობისა, უმრავლესობისთვის ჯერ კიდევ უცნობია, რომ ოჯახური ძალადობა მხოლოდ ფიზიკური ძალადობის არ გულისხმობს, და რომ ძალადობას შესაძლოა კანონისმიერი საშუალებებით ვებრძოლოთ.

ვფიქრობ, რომ საზოგადოებაში არსებული ვითარების შესწავლა მოგვცემს სრულ სურათს არსებული პრობლემის შინაარსობრივ და თვისობრივ მხარეზე, რაც შემდგომში დაგვეხმარება ამ მიმართულებით პრიორიტეტების განსაზღვრასა და პრობლემასთან

³ ბებერაშვილი ზ და სხვა, 2007

⁴ <http://www.interpressnews.ge/ge/qarthuli-presis-mimokhilva/301284-qarthuli-presis-mimokhilva-18102014.html>

ბრძოლის ეფექტური გზების დასახვაში. მსურს ამ გზით ჩემი წვლილი შევიტანო საზოგადოებაში ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში.

ლიტერატურის ანალიზი

ოჯახში ძალადობა თავისი არსით ერთ-ერთი ყველაზე რთული, გავრცელებული და სპეციფიკური სოციალურ-სამართლებრივი პრობლემაა. კონფლიქტი უშუალოდ ეხება თანაცხოვრებით ერთმანეთთან დაკავშირებულ პირებს. სწორედ ამ ფაქტორის გამო, ოჯახში ძალადობის თემა დიდი ხნის მანძილზე მრავალ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც ითვლებოდა ტაბუდადებულ საკითხად, რომლის საამკარაოზე გატანა ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევად განიხილებოდა. თუმცა, ოჯახში ძალადობა თავისი შინაარსით არღვევს კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის საყოველთაო უფლებებსა და თავისუფლებებს, საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. შესაბამისად, იგი სცდება ერთი რომელიმე ოჯახის პრობლემად განხილვის ფარგლებს და წარმოგვიდგება მაღალი საშიშროების მატარებელ დანაშაულად. „ამასთან, ოჯახში ძალადობა არ არის ოჯახის ცალკეული წევრების პრობლემა. ასეთი კონფლიქტები ნეგატიურად მოქმედებს ოჯახის სხვა წევრებზეც, განსაკუთრებით არასრულწლოვნებზე, იწვევს მათი ფსიქიკისა და აზროვნების დამახინჯებას, რაც საბოლოო ჯამში, საზოგადოებაში არაჯანსაღი ვითარების ჩამოყალიბებას იწვევს“.⁵

მეცნიერული გამოკვლევებით დადგენილია, რომ ოჯახში ძალადობის პრობლემა თანაბრად დგას ყოველ საზოგადოებასა და კულტურაში.⁶ მის წინააღმდეგ საბრძოლველად შემუშავებულია მრავალი თეორია, რომელთა მიზანია ოჯახში ძალადობის აღსაკვეთად ეფექტური ზომების მიღება და ოჯახში ძალადობის მიზეზებისადმი საერთო მიდგომის შემუშავება.

ოჯახში ძალადობის ფენომენის შესწავლისას საინტერესოა განვიხილოთ აშშ-ში 1970-იან წლებში ჩამოყალიბებული „ნაცემ ქალთა მოძრაობის“ მიერ მიღებული თეორია, რომელიც მამაკაცის მიერ ქალის ცემის ფაქტს ხსნიდა ფსიქოპათოლოგიაზე დაყრდნობით. თეორიის ავტორებს მიაჩნდათ, რომ „ქმარი, რომელიც ცოლს ცემდა იყო ფსიქიკურად

⁵ სახელმძღვანელო პოლიციის მუშაკთა ტრენინგებისთვის, თბილისი, 2011

⁶ სახელმძღვანელო პოლიციის მუშაკთა ტრენინგებისთვის, თბილისი, 2011

დაავადებული და მისი განკურნება შეიძლებოდა წამლებისა და ფსიქიატრიული მკურნალობის მეშვეობით.“⁷

მოგვიანებით ჩამოყალიბდა ახალი თეორია, ე.წ. „შესწავლილი ქცევის თეორია“. მკვლევარები ამტკიცებდნენ, რომ მამაკაცები მიერ ქალების ცემის მიზეზი იყო, ბავშვობაში მათ მიერ ოჯახში ნანახი ძალადობის ფაქტები, რომლებსაც ისინი ძალაუვნებურად სწავლობდნენ.

„შესწავლილი ქცევის თეორია“ ჰგავს ალბერტ ბანდურას მიერ ჩამოყალიბებულ „სწავლების თეორიას“, რომლის თანახმადაც ქცევა დაისწავლება. „შესაძლებელია როგორც მოძალადის ქცევის დასწავლა (მაგ. შვილი იმეორებს მამის ქმედებას, ცემას , შეურაცხყოფას), ასევე ოჯახური ძალადობის მსხვერპლის როლის გათავისება.“⁸

დიდი პოპულარობით სარგებლობდა „ძალადობის ციკლის“ თეორიაც, რომელიც ეფუძნებოდა შემდეგ წარმოდგენას: „მამაკაცები არ გამოხატავდნენ თავიანთ რისხვასა და იმედგაცრუებას, რადგან მათ ასწავლიდნენ არ გამოევილინათ თავიანთი გრძნობები. შესაბამისად, მამაკაცის დამაბულობა იზრდებოდა მანამ, სანამ ის აფეთქდებოდა და მოძალადე გახდებოდა, რათა განეტვირთა ემოციები“⁹

ოჯახში ძალადობის მიზეზებს სხვადასხვა თეორიები განსხვავებულად ხსნიან. ისინი ქმნიან ოჯახში ძალადობის დოქტრინალურ განმარტებას და გვეხმარებიან აღნიშნული მოვლენის კრიმინოლოგიურ- სოციოლოგიური ანალიზის დროს.

ოჯახში ძალადობაზე საუბრისას, მნიშვნელოვანია მის თაობაზე ქართულ რეალობაში არსებული საკანონმდებლო რეგულაციების შესწავლა. ოჯახში ძალადობის სამართლებრივი რეგულირება ხორციელდება „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით და სამოქალაქო სამართლის კოდექსით. განვიხილოთ მათი ზოგადი რეგულაციები:

⁷ სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე, თბილისი, 2010

⁸ მ.შალიკაშვილი, „კრიმინოლოგია“, თბილისი, 2011, გამომცემლობა „მერიდიანი“

⁹ სახელმძღვანელო პოლიციის მუშაკთა ტრენინგებისთვის, თბილისი, 2011

ოჯახში ძალადობის სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირება გულისხმობს ოჯახში ძალადობის მსხვერპლისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით. აღნიშნული კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად: „ პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს ეს ზიანი“.¹⁰ ანაზღაურებას ექვემდებარება როგორც ქონებრივი, ასევე არაქონებრივი ზიანი. ხოლო, 413-ე მუხლი ადგენს დაზარალებულისთვის ქონებრივთან ერთად მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას.

„ოჯახში ძალადობის სისხლისსამართლებრივი რეგულირების საკითხი დღის წესრიგში დადგება თუ ოჯახის წევრებს შორის განხორციელებული ძალადობა შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს.“¹¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ -ე მუხლი წარმოადგენს ჯახში ძალადობის სისხლისსამართლებრივ რეგულაციას, რომლის თანახმად, ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაფუძნება დაკავშირებულია შემდეგ ქმედებასთან და მის შედეგთან: „ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობა, სისტემატიური შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, რამაც გამოიწვია ფიიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოყოლია ჯანმრთელობის თუნდაც მსუბუქი დაზიანება.“

რაც შეეხება ოჯახში ძალადობის ადმინისტრაციულსამართლებრივ რეგულირებას, ამ მხრივ მნიშვნელოვანია 2006 წლის 25 მაისის კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ,“ ასევე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII³ თავი „ადმინისტრაციული სამართალწარმოება ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებასთან დაკავშირებით“.

ოჯახური ძალადობის ფაქტებზე ოპერატიული რეაგირებისთვის მოძალადის მოქმედებათა შეზღუდვის მიზნით გამოიყენა შემაკავებელი და დამცავი ორდერები. გარდა ამისა, ოჯახში ძალადობის აღკვეთის მიზნით შემუშავებულია ეროვნულ რეფერალური მექანიზმები, რომელიც წარმოადგენს სამოქმედო ინსტრუქციას ოჯახში ძალადობის

¹⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 2011, გამომცემლობა “RISE”

¹¹ მ.შალიკაშვილი, „კრიმინოლოგია“, თბილისი, 2011, გამომცემლობა „მერიდიანი“

პრევენციის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის დაცვისა და რეაბილიტაციის მიზნით. „ეროვნულ რეფერალური მექანიზმების მიხედვით, ოჯახში ძალადობის პრევენცია, მსხვერპლთა დაცვა და რეაბილიტაცია ხორციელდება სამი ძირითადი საფეხურის მიხედვით: ოჯახში ძალადობის იდენტიფიკაცია, მსხვერპლისა და მოძალადის იდენტიფიკაცია, მსხვერპლის დაცვა და რეაბილიტაცია.“¹²

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17, მე-18 და მე-19 მუხლები არეგულირებენ ოჯახში ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარში მოთავსების საკითხებს. მსხვერპლის მოთავსება მსხვერპლის მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარში) ემსახურება ოჯახში ძალადობის მსხვერპლის დაცვისა და რეაბილიტაციის მიზანს.

დღეის მდგომარეობით საქართველოში სამი თავშესაფარი არსებობს. ესენია: ქ. გორის, ქ. ქუთაისისა და ქ. თბილისის მსხვერპლთა დაცვის დაწესებულებები.¹³

ოჯახში ძალადობის ფაქტზე მოქალაქეთა საკონსულტაციო მომსახურების მიზნით ფუნქციონირებს ცხელი ხაზი 2 309 903.

გარდა შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი აქტებისა, ოჯახში ძალადობის აღკვეთის მიზნით საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია გაეროს კონვენცია „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW)“¹⁴ რომლითაც საქართველოს სახელმწიფომ იკისრა ვალდებულება ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისას არ შემოიფარგლოს მხოლოდ შიდა საკანონმდებლო აქტებით და ასევე იხელმძღვანელოს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციითა და ”CEDAW“ კონვენციით.

მიუხედავად შიდა თუ საერთაშორისო ნორმატიული აქტებით საკითხის რეგულირებისა, ოჯახში ძალადობა დღემდე ერთ ერთი აქტუალური და მწვავე პრობლემაა ქართულ რეალობაში. პრობლემის სიცხადისთვის საკმარისია გადავხედოთ ოჯახში

¹² საქართველოს ნორმატიული აქტების კრებული, გაერთიანებული ერების მოსახლეობის ფონდი, თბილისი, 2010

¹³ <http://www.atipfund.gov.ge/index.php/ka/about-us/branches-and-shelters/shelter-for-victims-of-domestic-violence>

¹⁴ <http://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/cedaw.htm>

ძალადობის სტატისტიკას: შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2007-2014 წლების (იანვარ-ივნისი) პერიოდში დაფიქსირდა 1102 ძალადობის ფაქტი. მოცემული შვიდი წლის განმავლობაში ოჯახური ძალადობის მსხვერპლი გახდა 1010 ქალი და 117 მამაკაცი. ოჯახში ძალადობის ფაქტებს ბოლო ერთი წლის მანძილზე 30-მდე ქალი ემსხვერპლა.¹⁵

თუკი შსს-ს ოფიციალურ სტატისტიკას გავანალიზებთ, აღმოვაჩინოთ, რომ იგი არცთუ ზუსტად ასახავს რეალობას. განა შეიძლება, ერთ რეგიონში ფიქსირდებოდეს ყველაზე მეტი დაზარალებული (2013-2014 წლების 6 თვის მონაცემებით კახეთი), ხოლო გამოძიების დაწყება ოჯახში ძალადობის ფაქტზე რაოდენობრივად ნაკლები იყოს ამ რეგიონში სხვა რეგიონებთან შედარებით (ამავე პერიოდში, სტატისტიკის თანახმად, ყველაზე მეტი გამოძიების ფაქტი ფიქსირდება თბილისში¹⁶). თუ ცნობილია, რომ ოჯახში ძალადობით კახეთში დაზარალდა ყველაზე მეტი ადამიანი, ლოგიკურია, აღნიშნულ ფაქტს სათანადო გამოკვლევა და გამოძიება დასჭირდებოდა. გარდა ამისა, ვფიქრობ სტატისტიკური მონაცემებით ოჯახში ძალადობის თვალსაზრისით თბილისის ყველაზე ცხელ წერტილად გამოცხადება განპირობებულია შემდეგი გარემოებით: დედაქალაქის მაცხოვრებლები არ ერიდებიან სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობას. მოსახლეობის სიჭარბის გამო, სხვა რეგიონებთან შედარებით შექმნილია უცხო გარემო, სადაც ნაკლებად ეშინიათ „სხვისი“ აზრის. შესაბამისად, სტერეოტიპული აზროვნება უფრო ნაკლებად სახასიათოა.

ვფიქრობ ოჯახში ძალადობის სტატისტიკა არაა რეალური იმდენად, რამდენადაც სამართალდამცავი ორგანოებისთვის არ ხდება ცნობილი ოჯახში ძალადობის ყველა შემთხვევა. ვინაიდან, ოჯახში ძალადობა ხშირად გაიგივებულია „ოჯახის საქმესთან, რომელიც არ უნდა გასცდეს ოჯახის ფარგლებს“. შესაბამისად, სტატისტიკაში აისახება არა ყველა შემთხვევა, არამედ მხოლოდ ნაწილი. დანარჩენი ლატენტურ დანაშაულად რჩება.¹⁷

„ოფიციალური სტატისტიკა არ ასახავს ამ მხრივ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის რეალურ სურათს, რადგან ჩვენს გარშემო ძალადობის უამრავი შემთხვევა

¹⁵ <http://police.ge/ge/useful-information/statistics/skhvadaskhva-sakhis-statistika-kvlevebi>

¹⁶ შსს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები

¹⁷ მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011

ხდება, რომლის შესახებაც არავის განუცხადებია. ამის მიზეზი სხვადასხვაა: საკუთარი უფლებების შესახებ ინფორმაციის არქონა, მძიმე სოციალური მდგომარეობა, უნდობლობა საკანონმდებლო რეგულაციებისა და სამართალდამცველების მიმართ, საზოგადოებაში არსებული სტიგმა“ - აღნიშნავს თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის იურისტი ეკა ქობესაშვილი.¹⁸

საინტერესოა აღნიშნულ საკითხზე სახალხო დამცველის შეფასებაც: „ 2013 წელი კვლავ დატვირთული იყო ოჯახში ძალადობის შემთხვევებით. მიუხედავად ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული არაერთი კამპანიისა, საკანონმდებლო და ინსტიტუციური გარანტიების შექმნის და ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაციისა, საზოგადოება კვლავ ცხოვრობს სტერეოტიპულ გარემოში, სადაც უმრავლეს შემთხვევაში ქალის მიმართ ძალადობა გამართლებული ქმედებაა.“¹⁹

მრავალი მიზეზი შეიძლება დავასახელოთ ოჯახში ძალადობის პრობლემის წარმომშობად საქართველოში. მათ შორის აღსანიშნავია:

- უმუშევრობა და ფინანსური პრობლემები ხშირად კონფლიქტის მიზეზია და აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავეთ აისახება ოჯახურ ურთიერთობებზეც. „ისეთ ქვეყნებში, სადაც უმუშევრობის მაღალი დონეა, დანაშაულის, ძალადობის და სხვა სოციალური პრობლემების ზრდა აღინიშნება.“²⁰ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, 2013 წელს საქართველოში 291.8 ათასი უმუშევარი ადამიანი იყო.²¹
- როლების არასწორი გადანაწილება ოჯახში, როცა მამაკაცი აღიქმება მთავარ პერსონად და უგულვებელყოფილია ქალთან თანასწორი მდგომარეობა. ხშირად მამაკაცები თავს თვლიან „უფროსებად“ და მორჩილებას მოითხოვენ ოჯახის წევრებისგან. „ქართულ საზოგადოებას ახასიათებს ოჯახური იერარქია და სუბორდინაცია ოჯახის წევრებს შორის, რომელიც ქალისა და კაცის როლებზე ხშირ

¹⁸ <http://humanrightsgo.org/index.php?a=main&pid=17958&lang=geo>

¹⁹ <http://humanrightsgo.org/index.php?a=main&pid=17699&lang=geo>

²⁰ დასაქმებისა და უმუშევრობის ტენდენციები საქართველოში, ნოემბერი 2011

²¹ http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo%20

შემთხვევაში პატრიარქალურ წარმოდგენებს ეფუძნება. (მამაკაცი, როგორც შემომტანი და ოჯახის უფროსი; ქალი კი მორჩილი მეუღლე და დიასახლისი).“²²

- დაბალი ინფორმირებულობა და ოჯახში ძალადობის პირად პრობლემად მიჩნევა, სტერეოტიპი- ოჯახის გადასარჩენად ყველაფრის მოთმენის ვალდებულებაზე იწვევს მსხვერპლის ძალადობასთან შეგუებას და მის განმეორებად ვიქტიმიზაციას.
- აგრესიული გარემო, რომლის ერთ ერთ მიზეზად სახელდება ბოლო წლებში არსებული სამხედრო დაპირისპირებები და მათი შედეგები. აგრესიულობის გამომწვევად აღნიშნული პირობა დასახელდა აშშ-ში, ჯორდან გრაფმანის კვლევაში. „ხოლო, მოცემული კვლევის საქართველოს პირობებში გადმოტანით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საომარი და სამხედრო დაპირისპირებები შესაძლოა იყოს მიზეზი ემოციების უკონტროლობისა და აგრესიული ქცევისა.“²³

ოჯახში ძალადობა დანაშაულია და სხვა დანაშაულების მსგავსად, ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია არა მის შედეგებზე აპელირება, არამედ ბრძოლა უპირველესყოვლისა მისი გამომწვევი მიზეზების წინააღმდეგ, რაც საფუძველს გამოაცლის აღნიშნულ დანაშაულებრივ ქმედებას. ოჯახში ძალადობის ბოლოდროინდელი შემთხვევები (ილიაუნიში მომხდარი მკვლელობა, კახეთში ქმრის მიერ ცოლი ნაჯახით მოკვლის ფაქტი და სხვ.) განგაშის ზარს ჰგავს- საზოგადოება არ უნდა დარჩეს გულგრილი მიმდინარე სისასტიკის მიმართ. პრობლემის კვლევა, ანალიზი, საზოგადოებრივი აზრის გაგება ვფიქრობ, პირველი ნაბიჯია პრობლემის გადასაჭრელი გზების დასახვისთვის. სწორედ ამიტომ, ოჯახში ძალადობის თემაზე ჩავატარე კვლევა სტატისტიკური მონაცემებით ოჯახში ძალადობის თვალსაზრისით ყველაზე „ცხელ წერტილში“-ქალაქ თბილისში. გთავაზობთ კვლევის შედეგებს ნაშრომის ფარგლებში.

²² კვლევის ანგარიში, საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში, თბილისი, 2013

²³ მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011

მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდად ავირჩიე თვისებრივი კვლევა ჩაღრმავებული ინტერვიუს სახით. ვინაიდან, თვისებრივი კვლევა ორიენტირებულია საკითხის შესწავლაზე მისი შინაარსობრივი მხარის გათვალისწინებით. ხოლო, თვისებრივი კვლევის ჩაღრმავებული ინტერვიუს საშუალებით მომეცა შესაძლებლობა უშუალო კომუნიკაციის გზით მიმეღო ინფორმაცია რესპონდენტთა შეხედულებებსა თუ საკითხის მიმართ დამოკიდებულებაზე.

ოჯახში ძალადობის თემა ხასიათდება ინტიმური ბუნებით და მასზე მსჯელობა სიფრთხილეს მოითხოვს ინტერვიუერის მხრიდან. იმისათვის, რომ რესპონდენტს არ აერიდებინა თავი კითხვებზე პასუხისგან ოჯახური პრობლემის სააშკარაოზე გამოტანის შიშით, გადავწყვიტე შემედგინა ჰიპოთეტური მაგალითი, რომლის გაანალიზებაში რესპონდენტს დაეხმარებოდა ტექსტიდან გამომდინარე დასმული კითხვები. ამასთანავე, ჰიპოთეტური მაგალითის გაანალიზების პროცესში რესპონდენტს დავუსვამდი ზოგადი ხასიათის კითხვებს ოჯახში ძალადობის თემის ირგვლივ.

კვლევის პროცესში გამოყენებული ჰიპოთეტური მაგალითი შემდეგი შინაარსისაა: თიკას და ნიკას წლების განმავლობაში უყვარდათ ერთმანეთი და უკვე ერთი წელია რაც ოჯახი შექმნის გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანეს. მიუხედავად თიკას მშობლების წინააღმდეგობისა, ქორწინება შედგა. თიკა 20 წლისაა. იგი არქეოლოგიის ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტია. თიკა წარჩინებული სტუდენტია და მუშაობისთვის დრო არ რჩება, რის გამოც ფინანსურად დამოკიდებულია მეუღლეზე, ნიკაზე. ნიკა 28 წლისაა. იგი სტომატოლოგია და თავისი პროფესიითაა დასაქმებული. თიკას საუნივერსიტეტო დავალებების შესასრულებლად ხშირად უწევს კურსელებთან ერთად ქალაქიდან გასვლა. აღნიშნული ხშირი უკმაყოფილებების მიზეზია ცოლ-ქმარს შორის:

- ნიკა: - „ არ მსიამოვნებს, როცა ვიღაც ვიგინდარებთან ერთად მთელ დღეს ატარებ შენი თქმით-კვლევაზე. არადა, კაცმა არ იცის სად ხარ და რას აკეთებ! ყელში ამომივიდა შენი პრეტენზიები! თუ ასე გააგრძელებ ბოდიალს, ხვალიდან უნივერსიტეტში წასვლას გიკრძალავ! (ყვირის და უშვერი სიტყვებით ილანძღება)

თიკა: „ სწავლას თავს არ დავანებებ! არ შეიძლება გამიგო? მე ხომ გიგებ და ვცდილობ ყველაფერში ხელი შეგიწყო?!“

თიკას წინააღმდეგობით გაბრაზებული ნიკა, ძირს ანარცხებს აღებულ არყის ჭიქას. (ამჯერადაც ნასვამია) შემდეგ უახლოვდება ცოლს და თმებში ხელის ჩაბლუჯვით იატაკზე ისვრის, რა დროსაც თიკა თავის დარტყმის გამო გონებას კარგავს.

გონს მოსული თიკა მეუღლესთან შერიგებას ცდილობს. პირველი შემთხვევა არაა რაც ასე ხდება და ფიქრობს ამასაც როგორმე გადაიტანს. ეშინია მშობლებისთვის ოჯახური კონფლიქტის გამხელის. აკი გააფრთხილეს , თუ ნიკას გაყვები ცოლად, ჩვენი იმედი ნუ გექნებაო!. ამ თემაზე სხვებთან არ საუბრობს. არ უნდა ვინმე ოჯახის საქმეში ჩაახედოს, რადგან მიაჩნია, რომ მიუხედავად ყველაფრისა ნიკა მისი მეუღლეა და ცოლ-ქმრის ურთიერთობა სხვას არ ეკითხება. ცოტა ეშინია ქმრის, მაგრამ მასზე საკუთარი სურვილით დაქორწინდა ფიქრობს პრობლემებსაც თვითონ უნდა გაუმკლავდეს! არ უნდა ხალხი აალაპარაკოს ან გაშორებული ქალის სტატუსი ჰქონდეს!.. ისიც იცის, რომ მშობლები მას აღარ მიიღებენ...ამიტომ, ამჯერადაც შეეცდება განაწყენებული მეუღლის შერიგებას.

ინტერვიუს ჰქონდა თხრობითი და ინტერაქტიული ხასიათი, რაც გამოიხატა შემდეგში: რესპონდენტი ინტერვიუს დროს გადმომცემდა, მომითხრობდა მოცემულ მაგალითთან მის დამოკიდებულებას, რასაც უკავშირებდა თავისი ოჯახური ცხოვრების პირად გამოცდილებას. ხოლო ინტერაქტიული რეჟიმი გამოიხატა ჩემს მიერ კითხვების დასმასა და კითხვა-პასუხის საშუალებით რესპონდენტის სათქმელის ამოწურვასა და შეჯამებაში.

საბედნიეროდ, ჩემმა ტაქტიკამ გაამართლა! ოჯახში ძალადობის თემაზე ჩავწერე სხვადასხვა ასაკის, სქესისა და ოჯახური მდგომარეობის 20 რესპონდენტი. მათგან 12 მამრობითი (მათ შორის 7 დაუოჯახებელი და 5 დაოჯახებული) და 8 მდედრობითი (მათგან 5 დაოჯახებული და 3 დაუოჯახებელი) სქესის წარმომადგენელი. კვლევა 2014 წლის 14 ნოემბერს დავიწყე და ერთი თვის განმავლობაში ჩავწერე ინტერვიუ შემთხვევით შერჩეული რესპონდენტებთან ოჯახში ძალადობის თემაზე, მათ გამოცდილებასა და შეხედულებებზე. ინტერვიუს ჩატარების პროცესში გამოვიყენე ზემოაღნიშნული ჰიპოთეტური მაგალითი და წინასწარ შედგენილი კითხვები. საშუალოდ, ერთ

რესპონტენტთან ინტერვიუმ 1.5-2 საათს გასტანა. მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზებაში დამეხმარა ტექნიკური საშუალებით რესპონდენტთა საუბრის ამსახველი აუდიო ჩანაწერები.

კვლევის შედეგად საინტერესო ინფორმაცია მივიღე ოჯახში ძალადობის ქართულ გარემო-პირობებზე...

კვლევის შედეგები

კვლევამ საინტერესო და ურთიერთგანსხვავებული შედეგი გამოავლინა დაოჯახებული და დაუოჯახებელი პირთა შეხედულებათა თვალსაზრისით. კვლევის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ ოჯახში ძალადობა თანაბრად მიუღებელი მოვლენაა ყველა პირისთვის. თუმცა, დაუოჯახებელი რესპონდენტები დაოჯახებულებისგან განსხვავებით, გამოირჩევიან გადაწყვეტილების სპონტანური მიღებით. უმეტესი მათგანი მზადაა ებრძოდოს ოჯახში ძალადობის ფაქტს „ყველა შესაძლო საშუალებით, მათ შორის მოძალადე მეუღლის სამართალდამცველებისთვის გადაცემით“. ხოლო, დაოჯახებული რესპონდენტები ავლენენ რა ერთგვარ თანაგრძნობას მოძალადის მიმართ, ცდილობენ პრობლემის მოგვარებას საკუთარი ძალებით სხვათა ჩაურევლად (*„ჩემი მეუღლეა რაც არ უნდა იყოს, ერთხელ ყველა შეიძლება შეცდეს“* - ლ.ტ, მდედრობითი სქესის, დაოჯახებული.)

კვლევამ მაჩვენა, რომ ოჯახში ძალადობა ქართულ რეალობაში შემდეგი სპეციფიკით ხასიათდება: კითხვაზე „გმობთ თუ არა ოჯახში ძალადობას და მოძალადის ქცევას?“ - პასუხი რესპონდენტთა შორის საყოველთაოდ დადებითია. ხოლო კითხვაზე „შეიძლება ჰქონდეს მოძალადის ქცევას გამართლება?“ - რესპონდენტთა ნაწილი (უმეტესად დაოჯახებული მამაკაცები) ასახელებს შემთხვევებს, რითაც ამართლებენ ოჯახში ძალადობას. (*„ შეიძლება გამოხვიდე მდგომარეობიდან, როცა ცოლი შეუფერებლად იქცევა: ვთქვათ ბავშვს არ აქცევს ყურადღებას, სახლში საჭმელი არაა და თვითონ დაქალებთანაა წასული. კაცი ხარ და ყველაფერს ვერ გადაყლაპავ. არ დაიმსახუროს და არც მიიღებს აგრესიას!“* - ჯ.გ, მამრობითი სქესის, დაოჯახებული.)

კვლევის თანახმად, ჩვენში ოჯახის არსი და ოჯახური ურთიერთობები სტერეოტიპულ აზროვნებას ეფუძნება. კერძოდ, სახეზეა იერარქიული დამოკიდებულება ოჯახის წევრებს შორის , ერთგვარი სუბორდინაცია: მამაკაცის როლის აღმატებული მდგომარეობა, რაც განაპირობებს კაცისთვის „ოჯახის თავის“ ფუნქციის მინიჭებას და ქალის, როგორც „მორჩილი მეუღლის და დიასახლისის“ მდგომარეობას. ხშირად ქალი გაიგივებულია დიასახლისთან, რომელიც არ უნდა იყოს დასაქმებული სხვა საზრუნავით,

გარდა ბავშვების აღზრდისა და საშინაო საქმეებისა. ხოლო, კაცი ითვლება ოჯახში „შემომტანად“, რომელიც უზრუნველყოფს ოჯახის ფინანსურ კეთილდღეობას.

არსებობს ოჯახის მთლიანობასა და ერთიანობაზე ერთგვარი სტიგმა: „ ყველა ოჯახში ხდება უთანხმოება და აღნიშნული არ უნდა გახდეს სხვების განსახილველი თემა. ოჯახის პრობლემა უნდა მოგვარდეს ოჯახის შიგნით“. რესპონდენტთა უმეტესობა ოჯახის დანგრევას ნეგატიურ მოვლენად მიიჩნევს და თვლის, რომ ოჯახის თითოეულმა წევრმა ყველა ღონე უნდა იხმაროს ოჯახის შესანარჩუნებლად, რადგან ოჯახი პირად სურვილებსა და პრინციპებზე მაღლა დგას.

კვლევის შედეგების თეზისებად დაყოფამ შემდეგი სურათი მომცა:

მამაკაცისა და ქალის როლი ოჯახში :

ქმრის დომინანტურ მდგომარეობას დაოჯახებულ და დაუოჯახებელ მამაკაცთა უმეტესობა(ცხრა რესპონდენტი) გამართლებულად მიიჩნევს. „მამაკაცი ოჯახის თავია. მართალია, არც ქალის როლის უგულვებელყოფა იქნება მართალი, მაგრამ მთავარი სიტყვა მაინც კაცს უნდა ჰქონდეს ოჯახში.“ აქვე რესპონდენტები ასკვნნიან, რომ ადვილად სამართავი მამაკაცი არცერთ ქალს არ მოეწონება და რომ „*ოჯახი მაშინაა ძლიერი და მყარი, როცა კაცს მართვის სადავეები უპყრია ხელთ*“- ა.ბ, მამრობითი სქესის, დაუოჯახებელი.

ამ საკითხზე განსხვავებულია მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა პოზიცია. როგორც დაოჯახებული, ისე დაუოჯახებელი ქალები თვლიან, რომ ესა თუ ის საკითხი ცოლ-ქმარს შორის უნდა წყდებოდეს ურთიერთშეთანხმებით.

„ქმრის სიტყვა უნდა იყოს მნიშვნელოვანი ცოლისთვის და პირიქით. ოჯახი ძალების გადანაწილების ადგილი არაა. აქ უფრო მნიშვნელოვანია ურთიერთპატივისცემა და ინტერესთა ბალანსი.“ - ნ.ს, მდედრობითი სქესის, დაუოჯახებელი.

„ქმარმა ჩემი აზრი უნდა გაითვალისწინოს და მე მისი. თუ ვერ ვთანხმდებით რაიმე საკითხში, ამ შემთხვევაში, ორივე ვთმობთ გარკვეულ პოზიციებს. ჩვენი ურთიერთობა წვრილმანებზე მაღლა დგას და ალბათ ეს სწორიცაა“- მ.ბ, მდედრობითი სქესის, დაოჯახებული.

დაოჯახებისას პიროვნების თავისუფლების ხარისხი მცირდება:

დაოჯახებული ქალბატონები საუბრობენ ქმრის მიერ სხვადასხვა შეზღუდვის დაწესებაზე. შეზღუდვები ძირითადად ეხება ქალის ჩაცმულობას:- „ არ მოსწონს თუ ჩავიცვამ ამოღებულ მაისურს ან მოკლე კაბას. თუ წინააღმდეგობას გავუწევ, მეუბნება, რომ მე მისი ცოლი ვარ და სხვებმა არ უნდა დაინახონ, მე როგორი სხეულის ფორმები მაქვს.“- ნ.ლ, მდედრობითი სქესის, დაოჯახებული.

მეგობრებთან ერთად წასვლას:- „როცა მეგობრებთან ერთად გასართობად გავდივარ არ სიამოვნებს და მეჩხუბება.თუ შემაგვიანდა სახლში მისვლა, ამაზე ხომ საუბარიც ზედმეტია. მენდობა, მაგრამ მაინც ვერ იტანს მის გარეშე თუ სადმე წავალ.“-ნ.ს, მდედრობითი სქესის, დაოჯახებული;

ქალის დასაქმებას:- „არ უნდა სამსახური ვიშოვო.მისი აზრით კაცია დ ოჯახში შემომტანი თავადაა. ჩემი მოვალეობა სახლის საქმეებზე ზრუნვაა. მეუბნება, რაღა კაცი ვიქნები, თუ ჩემი ცოლი სამსახურში წავაო?! მე კაცი ვარ და ჩემი თავმოყვარეობის შელახვაა ცოლის მუშაობაო“- ი.ა, მდედრობითი სქესის, დაოჯახებული.

მეგობარი მამაკაცის ყოლას:- „ასე მეუბნება ქალისა და მამაკაცის მეგობრობის მე არ მჯერა. ღიზიანდება თუნდაც თანამშრომელმა მამაკაცმა პატივისცემის ნიშნად რაიმე მომართვას დაბადების დღეზე. თვითონაც იცნობს ჩემს თანამშრომელ მამაკაცებს, მაგრამ ბრაზდება, როცა ისინი ყურადღებას იჩენენ ჩემს მიმართ“-ნ.ს, მდედრობითი სქესის, დაოჯახებული.

რაც შეეხება თავად ცოლის მიერ ქმრის შეზღუდვის ფაქტებს, მამაკაცები შეზღუდვაში ძირითად მამაკაცებთან ერთად გართობას ასახელებენ: „საღამოობით მამაკაცებთან რომ წავიდე, მთელი კვირა ხმას არ გამცემს.“-ლ.ლ, მამრობითი სქესის, დაოჯახებული.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ცოლ-ქმრობა ჩარჩოში სვამს ქალისა და კაცის სურვილებსა და ინტერესებს. აქვე, რესპონდენტთა მონათხრობმა დამანახა, რომ უფრო მეტი შეზღუდვების წინაშე დგებიან დაოჯახებული ქალები, ვიდრე კაცები. ქალთა მიმართ შეზღუდვების დაწესებას მამაკაცებისგან განპირობებულია ცოლის, როგორც საკუთრებად

აღქმის ფაქტორით: „ ჩემი ცოლია და რათქმაუნდა მე უნდა შემითანხმოს სად წავა და რას გააკეთებს“- მ.ვ. დაოჯახებული, მამრობითი სქესი.

თითქოს დაოჯახებული მამაკაცებისთვის მეორე ნახევარი ხდება მისაკუთრების საგანი, რომელიც მის ძალაუფლებას უნდა ემორჩილებოდეს.

რაც შეეხება დასაოჯახებელ ქალებსა და მამაკაცებს, ყველა მათგანი თვლის, რომ ადამიანის შეზღუდვა უარყოფითი შედეგის მომცემია. „აკრძალული ხილი, უფრო ტკბილია და აჯობებს ურთიერთობის სხვა ფორმა გამოვძებნოთ ოჯახის შექმნისას“. აქვე მიუთითებენ, რომ როგორც მამაკაცის, ისე ქალის ქმედებები მიმართული უნდა იყოს ოჯახის კეთილდღეობისკენ. ხოლო, ქალის მხრიდან მისაღებ ქმედებად აღიქმება: ოჯახზე ზრუნვა, სახლის საქმეების მოწესრიგება: დალაგება, საჭმლის მომზადება; ბავშვზე ზრუნვა, სამსახურში წასვლა- თუ ეს ხელს არ შეუშლის წინა მოვალეობებს. ხოლო, კაცის ფუნქციად აღიქმება: ბავშვზე ზრუნვა, ოჯახის ფინანსური კეთილდღეობა, პროდუქტის შეძენა,სარემონტო სამუშაოები სახლში. კაცის მოვალეობებიდან ძირითადი აქცენტი კეთდება მაინც ფინანსურ კეთილდღეობაზე: „*მე უნდა ვიმუშავო უფრო დატვირთულად და შესაბამისად მაღალი ანაზღაურებით. არც ჩემს ცოლს დავუშლი მუშაობას, მაგრამ მისი შრომა იქნება ალბათ უფრო მისთვის ერთგვარი გასართობი. კაცის ვალია ოჯახის ფინანსური უზრინველყოფა, მე ასე მიმაჩნია სწორად.*“- ლ.უ , მამრობითი სქესის, დაუოჯახებული.

ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ოჯახში ძალადობის მსხვერპლის გადაწყვეტილებაზე

ოჯახში ძალადობის მსხვერპლი უმეტეს წილად აგრძელებს მოძალადე მეუღლესთან თანაცხოვრებას, თუ მათ საერთო შვილი ჰყავთ. რესპოდენტი ქალები მიიჩნევენ, რომ ბავშვს თანაბრად სჭირდება ორივე მშობელი. ამიტომ, ბავშვის გამო მათ ბევრ დათმობაზე წასვლა უწევთ. „*ახალი ცხოვრების დაწყება გაცილებით ადვილია, როცა მარტო ხარ და შენი თავი შენვე გკუთვნის*“-აღნიშნავს რესპოდენტი მ.ბ, მდედრობითი სქესის, დაოჯახებული.

აბსოლუტური უმრავლესობა რესპოდენტებისა აღნიშნავს,რომ ფინანსური მდგომარეობა უდიდეს გავლენას ახდენს მსხვერპლის შესაძლო გადაწყვეტილებაზე. როცა

ქალი სხვაზეა ფინანსურად დამოკიდებული, თავად ძნელად წარმოუდგენია თავის რჩენა და იძულებულია აიტანოს მეუღლის კაპრიზები, რადგან ის არჩენს და საარსებო წყაროს აძლევს მას. ამასთან დაოჯახებული ქალები, როცა ისინი ფინანსურად მეუღლეზე არიან დამოკიდებულები, დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხითა და საკუთარი თავის რწმენის არ არსებობით ხასიათდებიან: *„მე მარტო როგორ შევძლებ თავის გატანას, როცა სამსახურიც კი არ მაქვს? განა გასაკვირია, რომ საქართველოში ადვილად ვერ იშოვი სამსახურს და საარსებოდ კი ყველას სჭირდება ელემენტარული შემოსავალი?!“* - ა.ვ, მდედრობითი სქესის, დაოჯახებული.

საზოგადოების შიში- არანაკლებ დამთრგუნველია ძალადობის მსხვერპლისთვის. დაოჯახებულ ქალებში გამძაფრებულია შიში იმისა თუ „რას იტყვის ხალხი?“ ემინიათ ე.წ „იარლიყის მიკერების“, მომავალს შიშის თვალით უყურებენ და აცხადებენ, რომ „სიყვარულით გავთხოვდი. რა გარანტია არსებობს იმისა, რომ სხვა უკეთესად მომექცევა ან უკეთეს ცხოვრებას ავიწყობ?!“

დაუოჯახებელი რესპოდენტები დამოკიდებლობის მაღალი ხარისხით გამოირჩევიან და მათი განცხადებით არაფრის გამო არ გააგრძელებდნენ მოძალადე მეუღლესთან ცხოვრებას: *„როგორ შეიძლება თავმოყვარე ადამიანმა ჩაყლაპო ძალადობა?! კაცი რომ ქალზე ხელს აწევს, ის კაცი აღარაა. ვერ წარმომიდგენია როგორ უნდა გააგრძელო მოძალადესთან ცხოვრება, თითქოს არაფერი მომხდარა...ძალადობაზე დიდი შეურაცხყოფა და დამცირება არ არსებობს და არც რაიმე გამართლება აქვს მოძალადის საქციელს.“* - ბ.გ, დაუოჯახებელი, მდედრობითი სქესის.

განსხვავებით დაუოჯახებელი რესპოდენტებისგან, დაოჯახებულები უფრო მეტ სიფრთხილეს იჩენენ ოჯახის დანგრევის საკითხზე: *„თქვენ, ახალგაზრდები ადვილად უყურებთ ცხოვრებას. გგონიათ რომ ყველა პრობლემას გაუმკლავდებით და არც ოჯახის დანგრევას მიგაჩნიათ სირცხვილად. მიუხედავად ძალადობის გამოცდილებისა, მე რომ ქმართან გაყრაზე მეფიქრა ვინ მიმიღებდა უკან? ხალხში როგორღა გამოვჩნდებოდი ან განა სხვა კაცი მოინდომებდა განათხოვარ ქალთან საქმის დაჭერას?!“* - ც.ვ, მდედრობითი სქესის, დაოჯახებული.

დასაოჯახებელი რესპონდენტები გამოირჩევიან რისკის გაწევის უნარით, დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით. ისინი ნაკლებად ექცევიან საზოგადოებრივი აზრის გავლენის ქვეშ: *„რაში მანაღვლებს ხალხი რას იტყვის? ერთხელ ცხოვრობ და ბედნიერებისთვის ვიბრძობ!“* - თ.ბ, დაუოჯახებელი, მდედრობითი სქესის. ხოლო, დაოჯახებულ რესპონდენტთა შემთხვევაში ადგილი აქვს ერთგვარ შიშს *„ახალი ცხოვრების დაწყების“*, საზოგადოების აზრის და პრობლემების დაუძლეველობის კუთხით. გაცილებით რთულდება საქმე, როცა საკითხი ბავშვს ეხება. ამ შემთხვევაში ქალები მსხვერპლად ეწირებიან შვილის კეთილდღეობას და მზად არიან აიტანონ ძალადობა, დამცირება, ოღონდ ბავშვმა არ იგრძნონს რაიმე უხერხულობა: *„ ვთქვით გავეყრებოდი, მერე რა იქნებოდა? ჯერ ერთი, ბავშვს უბამობა გაუჭირდებოდა. თანაც, სხვების დასაცინს არ გავხდით შვილს. ეგეც არ იყოს, ბავშვს საჭმელი რომ მოშვივდებოდა, რას ვეტყვოდი? შვილო, მაპატიე, ჩემს გამო შიმშილს გაუძელიო?!“* - ნ.ხ, დაოჯახებული, მდედრობითი სქესის.

ამრიგად, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები სხვადასხვა ფაქტორების გამო ეგუებიან მოძალადე მეუღლესთან ცხოვრებას, რის გამოც მოძალადე დაუსჯელოს გამო აღარ ერიდება ერთხელ ნაცადი ძალადობის ხელახალ გამოყენებას.

ოჯახში ძალადობას სახეები აქვს?

რესპოდენტთა უმრავლესობა(18 რესპოდენტი) ოჯახში ძალადობას არასათანადოდ აღიქვამს. მათი შეხედულებით ოჯახში ძალადობა შეიძლება იყოს ფიზიკური და იგი შეიძლება გამოიხატოს ყვირილში, დარტყმაში, სხვა სახის ფიზიკურ შეურაცხყოფაში. რესპოდენტებისთვის უცხოა ძალადობის ისეთი სახეები, როგორცაა ფსიქოლოგიური (დაშინება, მუქარა); ეკონომიკური, სექსუალური. არასწორად გაგებული ოჯახში ძალადობა განაპირობებს მოცემული მოვლენის მიმართ მსხვერპლის არაადეკვატურ დამოკიდებულებას. შესაბამისად, ოჯახში ძალადობა ლატენტურ ხასიათს იძენს, იმდენად, რამდენადაც იგი არავის აღუქვია, როგორც დანაშაული. თვალსაჩინოებისთვის, კითხვაზე: *„არის თუ არა ოჯახში ძალადობის შემთხვევა, როცა ქმარი აიძულებს ცოლს მასთან სექსუალური კავშირის დამყარებას?“* - ერთ-ერთი რესპოდენტის პასუხი იყო: *„არა. ცოლი იმიტომაც ცოლი, რომ ვალდებულია ქმართან ჰქონდეს სექსუალური კავშირი. ეს ცოლ-*

ქმრობის ერთ ერთი გამოხატულებაა და ეს ერთგვარი ვალდებულებაცაა ორივესთვის ცოლისთვისაც და ქმრისთვისაც“ - ა.ბ, დაუოჯახებელი, მამრობით სქესის. რესპონდენტთა უმრავლესობა სექსუალურ ძალადობას არ აღიქვამს ძალადობის სახედ. გამონაკლისის სახით, რესპონდენტი ს.თ, დაოჯახებული, მდედრობითი სქესის, აცხადებს: „ცოლის და ქმრის სექსუალური ურთიერთობაც ისეთივე ნებაყოფლობითი ქმედებაა, როგორც სხვა გადაწყვეტილების მიღება ოჯახში.“

დაცვის მექანიზმები:

რესპონდენტთა უმეტესობა არ არის ინფორმირებული ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ არსებულ სახელმწიფო დაცვის მექანიზმთა თაობაზე. არ იციან რა ზომებს უნდა მიმართონ ძალადობის შემთხვევაში და რა დახმარებას აღმოუჩენს სახელმწიფო: „არ ვიცი რა საშუალებები არსებობს საქართველოში. ალბათ არც არაფერი“. უკიდურეს შემთხვევაში ისინი არ გამორიცხავენ საპატრულო პოლიციის გამოძახებას: „ალბათ 112-ში დავრეკავდი თუ სხვა საშუალებებით ვერ დავიცავდი თავს“ - ვ.თ, მდედრობითი სქესი, დაოჯახებული. რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ძალადობის შემთხვევაში ჯერ თავად უნდა ეცადონ პრობლემის მოგვარებას, სხვათა ჩაურევლად: „ჩემს ქმარს ჩემზე უკვეთ არც დედაჩემი იცნობს და არც სხვა ვინმე. ამიტომ მე თვითონ უნდა მოვაგვარო ჩემი ოჯახური პრობლემა სხვების გარეშე“ -მ.გ, მდედრობითი სქესის, დაოჯახებული.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ 20-ვე რესპონდენტის თქმით ისინი უშუალოდ შესწრებიან ოჯახში ძალადობის ფაქტს. თუმცა, მათი რეაქცია იყო თავის გარიდება სიტუაციიდან: „ მე თავად მომსწრე ვარ ისეთი სიტუაციის , როცა ქმარი ძალადობს ცოლზე. ერთხელ გამოვესარჩლე კიდეც ქალს, მაგრამ საპასუხო რეაქცია იყო ჩემი დადანაშაულება ოჯახში შეჭრის გამო და არამკითხე მოამბის პოზიციაში ჩავვარდი. ამის მერე, ვცდილობ თავი გავარიდო კონფლიქტურ სიტუაციებს, როცა საქმე ოჯახში ძალადობას ეხება.“- მ. გ, მამრობითი სქესის, დაუოჯახებელი.

რესპონდენტები ოჯახში ძალადობის ფაქტის შემჩნევის დროს არ ცდილობენ რაიმე დახმარების აღმოჩენას მსხვერპლისთვის და მიიჩნევენ, რომ ოჯახის პრობლემა ოჯახმა

უნდა მოაგვაროს: „ასეთი გამოთქმაც არსებობს: „ცოლ-ქმრის ჩხუბი რეგვენს მართალი ეგონაო“, მე ვინ მეკითხება, თუკი დახმარებას არც არავინ ითხოვს?!“- შ.ყ. დაოჯახებული, მამრობითი სქესი.

ოჯახში ძალადობა-დანაშაული თუ ოჯახის პრობლემა?

დასაოჯახებელ რესპოდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ოჯახში ძალადობა არის დანაშაული, რომლის მოთმენა დაუშვებელია. „კაცი, რომელიც იძალადებს ქალზე, გამორიცხულია გამოსწორდეს“. ხოლო, დაოჯახებული მამაკაცების გარკვეული ნაწილი ძალადობის ფაქტს გამართლებას უძებნის: „ქალმა იმ დონეზე არ უნდა მიიყვანოს კაცი, რომ მასზე იძალადოს. თანაც ერთხელ შეიძლება ყველა შეცდეს“ რესპოდენტი მ.გ. მამრობითი სქესის, დაოჯახებული.

რაც შეეხება დაოჯახებულ ქალებს, მათი მხრიდან ოჯახში ძალადობის ფაქტი ასევე დასაგმობი და მიუღებელია. დაუოჯახებელი რესპოდენტები ოჯახში ძალადობას აფასებენ დანაშაულად, რომლის მიმართაც უმკაცრესი ზომების გატარებას მოითხოვენ. ხოლო, დაოჯახებული რესპოდენტების აზრით, ოჯახში ძალადობა „შიდა სამზარეულოა, რომლის გამომზეურებაც უხერხულია“. ამასთან, უშუალოდ მეუღლეებს შორის უნდა მოგვარდეს კონფლიქტი: „ჩემს ქმარს ჩემზე უკეთ არავინ იცნობს. აჯობებს მე დაველაპარაკო, ვიდრე ვინმე ჩავრიო.“

დაოჯახებული რესპოდენტები, ისევე როგორც დაუოჯახებლები გამორიცხავენ ოჯახური კონფლიქტის დროს მშობლებისთვის ან ნათესავებისთვის მიმართვას: „მე ავირჩიე ქმრად ჩემი მეუღლე და არც არავის დახმარება მჭირდება ჩვენი პრობლემების მოსაგვარებლად“- თ. ს, მდედრობითი სქესის, დაოჯახებული.

რაც შეეხება საპატრულო პოლიციის გამოძახებას, დასაოჯახებული რესპოდენტები არ გამორიცხავენ ოჯახში ძალადობის ფაქტზე პოლიციისთვის მიმართვას: „საქმე თუ ჩემს კეთილდღეობას ეხება და ჩემს უფლებებს ვინმე უხეშად ლახავს, რათქმაუნდა დავრეკავ პატრულში.“- მ.მ. დაუოჯახებული, მდედრობითი სქესი.

დაოჯახებული რესპოდენტები გამორიცხავენ პოლიციის დახმარების საჭიროებას. ისინი ერთგვარ უნდობლობას უცხადებენ სახელმწიფო სტრუქტურებს: „მე ვიცი

შემთხვევა, როცა ქალმა პატრული გამოიძახა და ქმარს უჩივლა ცემისთვის. ამ ამბავს ასეთი გაგრძელება აქვს: პოლიციას არ მიუღია ისეთი ზომები, რომ ქმარს აღარ შესძლებოდა ცოლთან მიახლოება. ქმარი გაღიზიანდა სამართალდამცველების გამოძახებით და ცოლს შავი დღე აწია. ამიტომ, პოლიციის გამოძახება გამოსავალი არამგონია იყოს!“ - ს.ზ. დაოჯახებული, მდედრობითი სქესის.

აქვე, უნდა აღვნიშნო, რომ მამრობითი სქესის რესპონდენტები ამჟღავნებენ ე.წ. ორმაგ სტანდარტებს საკითხის მიმართ, რაც გამოიხატება შემდეგში: ძალადობას გმობენ, თუმცა კითხვაზე რით შეიძლება აიხსნას მოძალადის ქცევა, მპასუხოვნ: „თუ ქალი ოჯახს არ აქცევს ყურადღებას“; „ქმარს ამცირებს თავისი გამომწვევი ჩაცმით“; „იმის ნაცვლად რომ ბავშვებს მიაქციოს სათანადო ყურადღება, მეგობრებთან ერთად ერთობა“; „შვილებს ცუდ მაგალითს აძლევს“; - გმობენ, თუმცა ცდილობენ მოძალადის გამართლებას ქალის დადანაშაულებით ძალადობის პროვოცირებაში- სახეზეა დუალისტური მიდგომა- გმობენ, თუმცა ამასთანავე ამართლებენ მოძალადის ქცევას.

გამოსავალი არსებობს!

რესპოდენტთა უმეტესობა (17 რესპოდენტი) ოჯახში ძალადობის არსებობისას გამორიცხავს სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობას. მათი აზრით იმით, რომ საპატრულო პოლიციას მიმართო, არაფერი შეიცვლება, „თანაც შესაძლოა ამან მოძალადე უფრო გააღიზიანოს“. ამკარაა, რესპოდენტები უნდობლობას უცხადებენ სამართალდამცავ ორგანოებს. გამოსავალი ყველასთვის ერთსულოვანი აღმოჩნდაა. პასუხი ერთმიზნელოვანი იყო კითხვაზე: „გამოსავალს რაში ხედავთ?- გაყრა!“

დასკვნა

ოჯახში ძალადობა რთული სოციალურ-სამართლებრივი მოვლენაა, რომელიც ყველა საზოგადოებასა და ყველა დროში არსებობს. ოჯახი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ კვაზისახელმწიფოდ, რომლის წევრებიც და რომელთა ერთობაც ქმნის საზოგადოებას, რასაც საბოლოოდ სახელმწიფოს შექმნამდე მივყავართ. „პიროვნების ჩამოყალიბება ოჯახიდან იწყება. ოჯახს, როგორც საზოგადოების მნიშვნელოვან რგოლს დიდი წვლილი შეაქვს მოზარდის სოციალიზაციის საკითხში“.²⁴ და ვინაიდან სწორედ ოჯახში ეყრება საფუძველი ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებას, მისთვის კულტურული ფასეულობების შექმნას უმნიშვნელოვანესია მინიმუმამდე შემცირდეს ოჯახში ძალადობის ფაქტები. რამეთუ, იგი ხელყოფს ადამიანის უფლებებს, ნეგატიურად აისახება ადამიანის ფსიქიკაზე და ხელს უშლის პიროვნების სრულფასოვან განვითარებას. ოჯახში ძალადობა წარმოადგენს დანაშაულებრივ ქმედებას, რომლის წინააღმდეგ საბრძოლველად ჩართულია რიგი სახელმწიფოებრივი მექანიზმები.

ოჯახში ძალადობის თემაზე კვლევის ჩატარებამ დამანახა რესპონდენტთა სტერეოტიპული აზროვნება ოჯახისა და ოჯახური ურთიერთობების კუთხით. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, შემიძლია ვთქვა, რომ ქართულ ოჯახებში ხშირშემთხვევაში სახეზეა სუბორდინაცია ოჯახის წევრებს შორის, რა დროსაც ოჯახის იერარქიის თავში დგას მამაკაცი.

იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენში ტრადიციების დაცვას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ჩემთვის გაუგებარია, როგორ დაუშვა ქართულმა საზოგადოებამ ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტები. ისტორიულად ხომ ჩვენში ქალის, დედის კულტი იყო საყოველთაოდ აღიარებული და სათაყვანო. პარადოქსულია: სიტყვით ქედს იხრიან ქალთა წინაშე საქმით კი საპირისპიროს აკეთებენ (ოფიციალური სტატისტიკის თანახმად 2007-2014 წლების (იანვარ-ივნისის) პერიოდში დაფიქსირდა 1102 ძალადობის ფაქტი)²⁵

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია პრობლემის მოგვარება დავიწყოთ თითოეული მოქალაქისგან. საერთო პრობლემას საერთო

²⁴ მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011

²⁵ <http://police.ge/ge/useful-information/statistics/skhvadashva-sakhis-statistika-kvlebebi>

ძალებით ბრძოლა სჭირდება. ამ კუთხით მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო ღონისძიებების დაგეგმვა და ცნობიერების ამაღლება მოსახლეობაში, რამეთუ რესპონდენტთა უმრავლესობისთვის დღემდე უცნობია ოჯახში ძალადობის ცნება და მისი სახეები, აგრეთვე სახელმწიფოს მხრიდან ოჯახში ძალადობის აღსაკვეთათ მომართული საშუალებები.

ვფიქრობ, საგანმანათლებლო და ინფორმაციული კუთხით მუშაობა უნდა დაევალოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. დღეის მდგომარეობით საქართველოში არ არსებობს ტელე ან რადიო გადაცემა, რომელიც სისტემატიურად იმუშავებდა ოჯახში ძალადობის პრობლემის გაშუქების მიზნით. ვფიქრობ, არანაკლებ სავალდებულოა სახელმწიფოს ხელშეწყობით საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება მოსახლეობაში და ამ მიმართულებით როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციათა ერთობლივი მუშაობა.

მიმაჩნია, რომ დანაშაულთან ბრძოლა, ისევე როგორც მავნე სტერეოტიპების მსხვრევა განათლებით იწყება. სწორედ ამიტომ, ოჯახში ძალადობის პრობლემას უპირველესყოვლისა, საგანმანათლებლო ღონისძიებათა საშუალებით უნდა ვებრძოლოთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბებერაშვილი ზ და სხვა, 2007
2. დასაქმების და უმუშევრობის ტენდენციები საქართველოში, ნოემბერი 2011
3. კვლევის ანგარიში, საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში, თბილისი, 2013
4. შალიკაშვილი მ, კრიმინოლოგია, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011
5. სახელმძღვანელო პოლიციის მუშაკთა ტრენინგებისთვის, თბილისი, 2011
6. სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე, თბილისი, 2010
7. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 2011, გამომცემლობა “RISE”
8. საქ. კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის დაცვისა და დახმარების შესახებ“
9. <http://www.interpressnews.ge/ge/qarthuli-presis-mimokhilva/301284-qarthuli-presis-mimokhilva-18102014.html>
10. საქართველოს 2012 წლის 12 ივნისის კანონი #6434, სისხლის სამართლის კოდექსი, თბილისი, 2014
11. საქ. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის და საქ. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი
12. საქ. სისხლის სამართლის კოდექსი

13. საქართველოს ნორმატიული აქტების კრებული, გაერთიანებული ერების მოსახლეობის ფონდი, თბილისი, 2010
14. <http://www.atipfund.gov.ge/index.php/ka/about-us/branches-and-shelters/shelter-for-victims-of-domestic-violence>
15. <http://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/cedaw.htm>
16. <http://police.ge/ge/useful-information/statistics/skhvadaskhva-sakhis-statistika-kvlevebi>
17. <http://humanrightsge.org/index.php?a=main&pid=17958&lang=geo>
18. <http://humanrightsge.org/index.php?a=main&pid=17699&lang=geo>